



№ 3083/12/07

5 თებერვალი 2007

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის

გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ

2007 წლის 5 დეკემბერს ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე - დ. მოდებაძე, წევრები - ც. ცხვედიანი, ნ. აბულაძე განიხილა დისციპლინური საქმე ადვოკატ ~~XX~~ მიმართ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის 2007 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, რის შედეგადაც

დ ა ა დ გ ი ნ ა :

2007 წლის 3 ოქტომბერს ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართეს ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრმა ადვოკატებმა, ~~ZZ~~ და ~~YY~~ და მოითხოვეს საჩივრის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება ადვოკატ ~~XX~~ მიმართ მის ქმედებაში პროფესიული ეთიკის კოდექსის I, II, III, V, VII, X მუხლების დარღვევისა და გადაცდომათა გამო. კერძოდ: საჩივრის ავტორთა ახსნა-განმარტებებით, ~~XX~~ უგულველყო პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპები, დამოუკიდებლობა, ნდობა, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა, კოლეგიალობა.

აღნიშნული საჩივრის საფუძველზე ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ დაიწყო მოკვლევა და საქმის შესწავლა საჩივარში მოყვანილი ფაქტების ირგვლივ, ხოლო 2007 წლის 31 ოქტომბერს გამოიტანა გადაწყვეტილება ~~XX~~ მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ. დევნის აღძვრის საფუძველად საპროცესო კოლეგიამ დადასტურებულად მიიჩნია საჩივრის ავტორის დასაბუთებული არგუმენტები და მოყვანილი ფაქტები. კერძოდ: საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატი ~~XX~~ ბრალდებულ ~~TT~~ დაცვაში ჩაერთო გამოძიების ეტაპზე ადკვეთი ღონისძიების შერჩევის დროს. ადკვეთი ღონისძიების საკითხის განხილვამდე ადვოკატი შეხვდა ბრალდებულ ~~TT~~, რომელმაც მას განუცხადა, რომ არ სურს მისი ინტერესები დაიცვას მან, ~~XX~~ ვინაიდან მის ინტერესებს იცავდნენ

სხვა ადვოკატები, ანუ ~~XX~~ ცნობილი იყო ის ფაქტი, რომ ~~TT~~ ინტერესებს იცავდნენ სხვა ადვოკატები. ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, თუ ადვოკატს მიმართა კლიენტმა, რომელსაც ჰყავს სხვა ადვოკატი, ადვოკატი ვალდებულია აცნობოს კოლეგას კონსულტაციის ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარების გაწევის შესახებ. შესაბამისად,

~~XX~~ უნდა ეცნობებინა ~~TT~~ ადვოკატებისათვის დაცვის დაწვევის შესახებ, რაც მან არ შეასრულა. საპროცესო კოლეგიამ დარღვევად მიიჩნია ასევე ის ფაქტი, რომ ადვოკატმა არ დააყენა თვითაცილება, მაშინ როცა ბრალდებული იყო წინააღმდეგი ადვოკატს დაეცვა მისი ინტერესები, რითაც დაირღვა პროფესიული ეთიკის კოდექსის I და V მუხლის მოთხოვნები და ბოლოს საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა ~~XX~~ აღკვეთი ღონისძიების შერჩევის განხილვის დროს იმსჯელა საკითხებზე, რომლებიც არ იყო დაკავშირებული აღკვეთი ღონისძიების შეფარდების საფუძველთან, არამედ დაკავშირებული იყო საქმის არსებით გარემოებებთან. აღნიშნულით ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა შესახებ კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნები.

განხილვის კოლეგიის მიერ საქმის განხილვის დროს მხარემ წარმოადგინა 2007 წლის 3 ოქტომბერს გახუთ "რეზონანსში" გამოქვეყნებული ~~XX~~ სტატია, სადაც ადვოკატი ~~XX~~ აცხადებს, რომ "SS ადვოკატთა ასოციაციაში ეთიკის კომისიის თავმჯდომარეა და ჩემს მიმართ ამ კომისიაში საჩივარი შეაქვს. ეს მიანიშნებს, რომ SS უდანაშაულობის სხვა მტკიცებულებები არ აქვს" და მოითხოვა საქმეზე მტკიცებულების სახით დართვა, რაც დაკმაყოფილდა კოლეგიის მიერ.

2007 წლის 5 დეკემბერს განხილვის კოლეგიის სხდომაზე დაცვის მხარემ იშუამდგომლა მის მიმართ კოლეგიას გამოყენებინა ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-15 მუხლი. საქმის განხილვის დაწყებამდე, ბრალდებულ ადვოკატს უფლება აქვს აღიაროს დისციპლინური ბრალდება და მიმართოს განხილვის კოლეგიას თხოვნით, საქმის განხილვის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება. განხილვის კოლეგია ვალდებულია დააკმაყოფილოს ასეთი თხოვნა და გამოიტანოს გადაწყვეტილება.

დაცვის მხარემ განმარტა შემდეგი: - ჩვენ ვიმსჯელებთ და ჩავთვალთ, რომ ადვოკატმა ~~XX~~ დაარღვია ეთიკის კოდექსის მოთხოვნა და მან არ შეატყობინა ადვოკატებს, რაც მას უნდა განეხორციელებინა. ასევე აღიარებს ყველა ბრალდებას და ითხოვს კოლეგიისგან ჰუმანურობას და ღმობიერებას.

განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ დაცვის მხარის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და ადვოკატ ~~XX~~ მიმართ უნდა განხორციელდეს დებულების მე-15 მუხლის მოთხოვნა, ვინაიდან მან აღიარა დისციპლინური ბრალდება. გარდა ადვოკატ ~~XX~~ აღიარებითი ჩვენებისა, მის მიმართ წარდგენილი დისციპლინური ბრალდება დადასტურდა განხილვის კოლეგიის სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, მხარეთა ახსნა-განმარტებებით და წერილობითი მტკიცებულებებით, რომელთა ერთობლივი ანალიზით განხილვის კოლეგიამ დადასტურებულად მიიჩნევს ადვოკატ ~~XX~~ მიერ ეთიკის კოდექსის I, V, VIII და X მუხლების დარღვევის ფაქტებს.

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა რა პროფესიული ეთიკის კოდექსის I, V, VIII და X მუხლებით და ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-4, მე-15 და მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის "დ" პუნქტით



გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ადვოკატ   დაედოს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება;
2. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს მხარეებს;
3. ადვოკატს უფლება აქვს გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ერთი თვის ვადაში.

დავით მოდებაძე

წ. შიგინაძე, ძე

ციციანო ცხვედიანი

ც. შიგინაძე

ნორა აბულაძე

ნ. აბულაძე

